

სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ხელშეწყობა

1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ხელშეწყობა

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ხელშეწყობისა და სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შექმნის მიზნით ბნსუ უზრუნველყოფს: მოქნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის და გრაფიკის შედგენას, სტუდენტი/პროფესიული სტუდენტისთვის ხელსაყრელ ფორმატში და დროს – კონკულტაციების ჩატარებას და ინფორმაციის მიწოდებას, საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო მასალების მიწოდებას, საჭიროების შემთხვევაში - ადაპტირებული მასალების მომზადებას, საბიბლიოთეკო ფონდებით (ამონაბეჭდი/ელ.ფორმატში) და სხვა მატერიალური რესურსებით სარგებლობას. ასევე, ანაზღაურების გარეშე შესაძლებელია სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის სასურველი სასწავლო კურს(ებ)ის მოსმენა (კრედიტის მიღების შესაძლებლობის გარეშე) ან იმ სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების განმეორებით შესწავლა (აკადემიური წლის განმავლობაში არაუმეტეს 10 კრედიტისა), რომლებშიც მას მისაღები აქვს კრედიტები უარყოფითი (F) შეფასების მიღების გამო ან რომელთა განმეორებით შესწავლა სურს მიღწეული შედეგების გაუმჯობესების მიზნით. ასევე, შესაძლებელია სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი გრაფიკის შედგენა, რიგ შემთხვევაში, საკითხის ინდივიდუალურად განილვის შემდეგ, შეიძლება იქნეს მიღებული გადაწყვეტილება სხვადასხვა ფინანსური შეღავათების და/ან სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ხელშეწყობის სხვა მექანიზმების ამოქმედების შესახებ. მითითებული ხელშეწყობის წესი მოქმედებს ბნსუ-ში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სწავლის მთელ ძირითად ვადაში.